საზოგადოება

პედაგოგთა პროფკავშირის ხელმძღვანელები მასწავლებლებს შეხვდნენ

14:18 05-03-2011

ფოტო

პედაგოგ ქალთა უფლებების საკითხებზე, დღეს პროფკავშირების გაერთიანების ოფისში ქალთა კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე და პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ეთერ მათურელი საჯარო სკოლების პედაგოგებს შეხვდნენ. მათ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე და კოლექტიურ ხელშეკრულებებზე ისაუბრეს.

ღონისძიების ორგანიზატორებმა პედაგოგებს ფასიანი საჩუქრებიც გადასცეს. შეხვედრას 50-მდე საჯარო სკოლის მასწავლებელი და ქალაქის რაიონული პროფავშირული ორგანიზაციების ლიდერები ესწრებოდნენ.

კვირეული 2 მარტს დაიწყო, რომლის დევიზია _ "ქალები სოციალური სამართლიანობისთვის". კვირეულის ფარგლებში უკვე რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. მათ შორის კონფერენცია, რომელიც "დედობის დაცვის შესახებ" შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე კონვენციას და მისი რატიფიცირების მიზანშეწონილობას მიეძღვნა.

სსამასთან, კვირეულის ფარგლებში, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 8 მარტს ვარდების მოედნიდან პარლამენტის შენობამდე პროფკავშირების გაერთიანების ორგანიზებით, მსვლელობაც გაიმართება.

მასალის გამოყენების პირობები